ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №6
2024 წლის 18 აპრილი

დაბა ჩოხატაური

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 28/12/2023, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.114.016506) დამტკიცებულ წესში, წესს დაემატოს 13^1 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13^1. ონკოდაავადებულთა სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება

1. ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე პირები, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სამედიცინო და მედიკამენტოზურ მკურნალობას.

2. თითოეული ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების შესაძენი ჯამური ხარჯი განისაზღვროს წელიწადში 1000 (ათასი) ლარით. მედიკამენტების შესაძენი ხარჯის დაფინანსება განხორციელდეს ყოველ 3 თვეში ერთხელ, არაუმეტეს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარით.

3. მომსახურების მისაღებად განმცხადებელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ცნობა სამედიცინო დაწესებულიდან (ფორმა №IV-100);

დ) შესაბამისი სამედიცინო/სააფთიაქო დაწესებულებიდან ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი).“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ირაკლი კუჭავა